აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
მიზნობრივი პროგრამა

2013 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი.

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

,,1 იანვარი" 2013 წ.
“31 დეკემბერი“ 2013 წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

1,300,000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

| | | |
|---|---|---|
| ა) ძირითადი _ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1,300,000 | ლარი |
| ბ) დამატებითი | 0 | ლარი |

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მსოფლიო მოსახლეობის ავადობის სტრუქტურაში გულსისხლძარღვთა დაავადებებს წამყვანი ადგილი უჭირავს. ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც: გულის თანადაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკს, რაც დღის წესრიგში აყენებს მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

კომპონენტი მოქმედებს 2006 წლიდან და დღემდე დახმარება გაეწია 1400-ზე მეტ პაციენტს. არსებული სტატისტიკური მონაცემებითა და მოქალაქეთა მზარდი მომართვიანობის საფუძველზე კომპონენტის ბიუჯეტი 2013 წლისთვის განისაზღვრა 1 300 000 ლარით.

## 7 პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

| N | პროგრამის მიზნები | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|---|
| 1 | 18-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობისა და 60-დან 65 წლის ასაკამდე მამაკაცების კარდიოქირურგიული მკურნალობა : გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება | კომპონენტით მოსარგებლეთა დაფარვის მაჩვენებელი<br>მომხმარებელთა კმაყოფილების დონე |

## 8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

| 2013 წელი | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულების გაფორმება | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 2 | გულის შეძენილი მანკების ქირურგიული მკურნალობა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 3 | გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული მკურნალობა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 4 | იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 5 | კორონარული ანგიოპლასტიკა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ენდოვასკულური ოპერაციები | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

## 9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

| N | წყაროს დასახელება | | 2013 წელი | 2014 წელი | 2015 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1,300,000 | | | **1,300,000** |
| | დამატებითი | | | | | **0** |
| | სულ | | **1,300,000** | **0** | **0** | **1,300,000** |

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

| N | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული) | ერთეულის დასახელება | სულ პაციენტთა რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) | თანაგადახდა 1) 100 000 - ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 10 % 2) 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 20 % 3) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტისათვის - 30 % | | | ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2013 წელი | | | | | | | | | |
| I | საქონელი და მომსახურება | | | | | | | | |
| **სულ საქონელი და მომსახურება** | | | | | | | | | |
| II | სოციალური უზრუნველყოფა | | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 2 | 3 | |
| 1 | **გულის თანდაყოლილი მანკები** | | | | | | | | |
| ა) | ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევით | პაციენტი | 6 | 17,155 | 102,930 | 6,862 | 3,431 | 5,147 | 87,491 |
| ბ) | ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე | პაციენტი | 8 | 11,992 | 95,936 | 4,797 | 4,797 | 7,195 | 79,147 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ) | პირველადი დიაგნოსტიკა | პაციენტი | 7 | 2,400 | 16,800 | 960 | 960 | 720 | 14,160 |
| **2** | **ენდოვასკულური ოპერაციები** | | | | | | | | |
| ა) | ამპლაცერი/პეისმეიკერი | პაციენტი | 9 | 8,551 | 76,959 | 3,420 | 3,420 | 7,696 | 62,422 |
| ბ) | ვალვულოპლასტიკა/რაშკინდი | პაციენტი | 9 | 3,016 | 27,144 | 905 | 1,206 | 3,619 | 21,414 |
| **3** | **გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიები:** | | | | | | | | |
| ა) | იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა | | 71 | 9,200 | 653,200 | 27,600 | 55,200 | 30,360 | 540,040 |
| **ბ)** | **შეძენილი მანკები** | | | | | | | | |
| ბ.ა) | ერთი სარქვლის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის  პროთეზირება / პლასტიკა | | 9 | 12,000 | 108,000 | 4,800 | 7,200 | 7,200 | 88,800 |
| ბ.ბ) | ბიოლოგიური სარქველი | პაციენტი | **6** | 17,185 | 103,110 | 3,437 | 10,311 | 5,156 | 84,207 |
| ბ.გ) | ბენტალი / მწვავე მანკი / ინფარქტის შემდგომი გართულებები: სარქვლოვანი პათოლოგია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა | პაციენტი | 6 | 16,000 | 96,000 | 3,200 | 6,400 | 9,600 | 76,800 |
| ბ.დ) | ორი სარქვლის / სარქვლის და აღმავალი □ აორტის პროთეზირება | პაციენტი | **6** | 14,300 | 85,800 | 2,860 | 5,720 | 8,580 | 68,640 |
| **4** | **კორონარული ანგიოპლასტიკა** | | | | | | | | |
| ა) | კორონარული ანგიოპლასტიკა  ერთი სტენტით | პაციენტი | 68 | 1,800 | 122,400 | 5,040 | 7,200 | 10,800 | 99,360 |
| ბ) | კორონარული ანგიოპლასტიკა  ორი ან  მეტი სტენტით | პაციენტი | 45 | 2,100 | 94,500 | 4,200 | 5,880 | 6,930 | 77,520 |
| **სულ სოციალური უზრუნველყოფა** | | პაციენტი | | | | | | | 1,300,000 |
| III | არაფინანსური აქტივები | | | | | | | | |
| **სულ არაფინანსური აქტივები** | | | | | | | | | |
| **სულ ჯამი** | | | | | | | | | **1,300,000** |

10. **საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:**

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა | შესყიდვის განხორციელების ვადები | შესყიდვის განხორციელების ფორმა | შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი. | I-IV კვარტალი | შესყიდვა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით | 1,300,000 | |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პროგრამის დამტკიცების შემდეგ

ბ) ნოზოლოგიების ტარიფები და დაფინანსების პრინციპი

კომპონენტის ნოზოლოგიური ჯგუფების ტარიფები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილებით დამტკიცებული 2011 წლის ,,გულის ქირურგიის'' სახელმწიფო პროგრამის ტარიფების შესაბამისად, პაციენტთა რაოდენობა კი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

კომპონენტით მისაწოდებელი მომსახურების პირობებს, ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
_ მოქალაქის განცხადება
_ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ _ ფორმა IV-N100/ა (კორონაროგრაფიული გამოკვლევის დასკვნით);
_პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.
_ცნობა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" სარეიტინგო ქულის შესახებ;
კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს კომპონენტით გათვალისწინებული ტარიფისა.
კომპონენტის მაღალი რესურსტევადობის გამო:
_18 წლის ასაკიდან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა და 60-დან 65 წლის ასაკამდე მამაკაცების კარდიოქირურგიული მკურნალობა დაფინანსდება:
1) 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 90 % (თანაგადახდა 10%);
2) 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 80 % (თანაგადახდა 20%);
3) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტისათვის- 70 % (თანაგადახდა 30%).

დამატებითი პირობები:
_პაციენტისთვის ორი კოდის მინიჭების შემთხვევაში ძვირადღირებული კოდი დაფინანსდება კომპონენტით განსაზღვრული პროპორციების მიხედვით, ხოლო მეორე კოდი - კომპონენტით აღებული ვალდებულების 50%-ით, ძირითად ნოზოლოგიისათვის დადგენილი პროპორციების დაცვით.
კომპონენტის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა და ასევე უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ)

დ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

1. კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ვრცელდება 18 წლის ასაკიდან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობასა და 60-დან 65 წლის ასაკამდე მამაკაცებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის მომენტში;
2. კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება არ ვრცელდება:
_ ,,სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N-218 დადგენილებით და "ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N-165 დადგენილებით განსაზღვრულ მოსარგებლეებზე.

ს წ ო რ ი ა: